ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.01.2017

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/17

შეკითხვა:

გთხოვთ, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მომცეთ რეკომენდაცია შეესაბამება თუ არა ეთიკის კოდექსით დადგენილ ნორმებს ადვოკატის შემდეგი ქმედება.

იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი ახორციელებს ძებნილის ინტერესების დაცვას (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ს 108 მუხლით), აღნიშნულ საქმეში ამოღებულია ავტომანქანა (მისი სარეალიზაციო ფასი შეადგენს 15 000 აშშ დოლარს და ჰყავს დამოუკიდებელი მესაკუთრე) და გადაყვანილია საჯარიმოზე (სადაც გადასახადი დღეში შეადგენს 5 ლარს, გარდა ამისა მოთავსებულია ღია პარკინგზე სადაც მისი დაზიანების რისკი ძალიან დიდია) სასამართლო განხილვა გრძელდება ერთი წელია უკვე სადაც 40 მოწმიდან მხოლოდ 5 მოწმეა გამოკითხული, ბრალდების მხარე ვერ უზრუნველყოფს მათ წარმოდგენას და ამის გამო სასამართლო განხილვები იდება.

საყურადღებოა ის გარემობა, რომ ამოღებული ავტომანქანით გადადგილდა ბრალდებული და მისი თანმხლები პირები, ავტომანქანიდან ამოღებული სისხლის კვალი (სხვა არანაირი ნივთმტკიცება არ იქნა ნაპოვნი ავტომანქანაში) სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო ვინაიდან ბრალდებამ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით წარადგინა.

დაცვის მხარე აპირებს, რომ დააყენოს შუამდგომლობა ნაწილი მტკიცებულებების (რომელიც ეხება ავტომანქანის ამოღება/ჩხრეკას, საჯარიმოზე გადაყვანის ქვითრები, ექსპერტიზის დანიშვნას და იმ გამომძიებლების დაკითხვის ოქმები რომლებმაც იპოვეს ავტომანქანა) უდაოდ ცნობასთან დაკავშირებით, იმ საფუძვლით, რომ პროკურატურამ შემდგომში დაუბრონოს კანონიერ მესაკუთრეს მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მესაკუთრეს უნდა მისი ავტომანქანის სასამართლო განხილვების დასრულებამდე დაბრუნება.

შეესაბამება თუ არა ეთიკის კოდექსით დადგენილ ნორმებს ადვოკატის ქმედება?

ანალიზი:

"ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა."

"ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 45-ე მუხლის მე-4 პუნქტი: შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას და არ არის დადგენილი ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით, რეკომენდაციას მოამზადებს დისციპლინური კოლეგია, რომელიც მორიგეობს საპროცესო კოლეგიის სახით.

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური კოლეგია მიიჩნევს, რომ შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი კომისიის მიერ სარეკომენდაციო პასუხის გასაცემისათვის სრულფასოვანი სურათის შესაქმნელად. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის შეკითხვა შეიცავს ადვოკატის სტრატეგიის და ტაქტიკის შემცველ ელემენტებს და ამ მოცემულობით, კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატის შეკითხვაში მოცემულ გარემოებას. აქედან გამომდინარე, ვერ გაიცემა სარეკომენდაციო გადაწყვეტილების სტანდარტის შესაბამისი პასუხი.

დისციპლინური კოლეგია მიიჩნევს, რომ შეკითხვა არ შეიცავს იმ გარემოებებს, რომლებიც კომიისათვის რეკომენდაციის გაცემის სტანდარტს დააკმაყოფილებდა. როგორც აღინიშნა, შეკითხვაში მითითებულ გარემოებებზე რეკომენდაციის გაცემა შესაძლოა გულისხმობდეს ადვოკატის სტრატეგიისა და ტაქტიკის დეტალების განსაზღვრას, რისი უფლებაც, კანონის მიხედვით, ეთიკის კომისიას არ აქვს. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მომართვა კონკრეტული საჩივრით და დაიწყება საქმის განხილვა, კომისია მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, საქმის სპეციფიკისა და მასში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

დასკვნა:

შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი სრული სურათის შესაქმნელად, ეთიკის კომისიის მიერ სარეკომენდაციო პასუხის გასაცემად. კამონმდებლობით დადგენილი წესით, ეთიკის კომისიისადმი კონკრეტული საჩივრით მომართვის შემთხვევაში, ეთიკის კომისია საჩივარში არსებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების და საქმის მასალების სრულფასოვანი შესწავლის შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/